

## პრეს-ანონსი

### აზერბაიჯანი და საქართველო შეთანხმდნენ ტერიტორიული თანამშრომლობის პრიორიტეტებზე

*თბილისი, 27 ოქტომბერი, 2014—საქართველოს და აზერბაიჯანის სასაზღვრო რეგიონების ტერიტორიული თანამშრომლობის პრიორიტეტები და საერთო გამოწვევები წარმოადგენს მთავარ განსახილველ საგანს გაერთიანებული გადაწყვეტილებების მიმღები კომიტეტის პირველ სხდომაზე თბილისში, 31 ოქტომბერს 2014. სხდომა გაიმართება ქორთოარდ მერიოტში, თავისუფლების მოედანი 4, თბილისი, საქართველო.*

ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათი ქსელების წარმომადგენლები საქართველოდან და აზერბაიჯანიდან შეიკრიბებიან ერთობლივი სამოქმედო პროგრამის (JOP) განსახილველად და მის დასამტკიცებლად, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის ტერიტორიული თანამშრომლობის საგრანტო პროგრამისათვის შექმნის საფუძველს. პრიორიტეტები, პროექტის, ბენეფიციარების მიმართ მოთხოვნები და პროგრამის განხორციელების ფორმები JOP-ის საკვანძო საკითხებს წარმოადგენს. მონაწილეები განიხილავენ ერთობლივი სამოქმედო პროგრამის საჯარო განხილვის შედეგებს, რომელიც ჩატარდა აზერბაიჯანის და საქართველოს შესაბამის რეგიონებში და მიიღებენ საპროგრამო დოკუმენტს რათა დაიწყოს აუცილებელი წინადადებების მიღება. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1.35 მილიონ ევროს. პროგრამა მოიცავს აზერბაიჯანის- განჯა-გაზახის; შევი-ზაქათალას და საქართველოს ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებს.

გადაწყვეტილებების მიღების ერთობლივი კომიტეტი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველო-აზერბაიჯანის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის განხორციელებაში, ოფიციალურად იქნება დაფუძნებული. JDMC-ის თანათავჯდომარეები არიან ბატონი რუსლან რუსტამლი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკის და მრეწველობის სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ბატონი თენგიზ შერგელაშვილი, საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის მოადგილე. გადაწყვეტილებების მიღების კომიტეტის პირველი სხდომა ორგანიზებულია EaPTC-ის სამხრეთის მმართველი ორგანოს მიერ EaPTC-ის მხარდამჭერ პროგრამასთან თანამშრომლობით.

ფონური ინფორმაცია: არმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდამჭერი პროგრამა (EaPTC მხარდამჭერი პროგრამა) დაიწყო მოლდოვა-უკრაინის, სომხეთ-საქართველოს, აზერბაიჯანი-საქართველოს და ბელარუსი-უკრაინის საზღვრების გასწვრივ ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, თითოეული სასაზღვრო რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით და აგრეთვე ადგილობრივი და რეგიონალური სახელმწიფო და არა სახელმწიფო ორგანოების პოტენციალის გამყარებისათვის, საზღვრისპირა პროექტების ერთობლივად შემუშავება – განხორციელებისათვის. ევროკავშირის მთლიანი წვლილი EaPTC-ში შეადგენს 12.5 მილიონ ევროს.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც მიათვლია აღმოსავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის და სამხრეთ კავკასიისკენ: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ინიციატივის მიზანია მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის. აგრეთვე მათი პოლიტიკური თანამონაწილეობა და ეკონომიკური ინტეგრაცია.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ტატიანა დერევიანკინას, EaPTC-ის მხარდამჭერი პროგრამის კომუნიკაციის ექსპერტს ელექტრონული ფორსტით:

[tatiana.derevyankina@eaptc.eu](mailto:tatiana.derevyankina@eaptc.eu)

<http://www.eaptc.eu>

<https://www.facebook.com/eaptc.eu>

[https://twitter.com/EaP\\_TC](https://twitter.com/EaP_TC)

<http://www.linkedin.com/groups/EaPTC-5109143>

